ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 23 (1424) 14-21 ივლისი 1995 წ.

ამ წერილს რომ ხელი მოვაწეროთ, ჩათვალეთ, უმუშევრები დავრჩებით ან მიქელ-გაბრიელს ჩაგვაბარებენ!

მაფია პოლიციაში

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ! ჩვენი გასაჭირი უნდა მოვანდოთ თქვენს რედაქციას. ყველა ქართველს გული შესტკივა თავის ქვეყანაზე, გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. არ გაგიკვირდეთ, ჩვენი, თავად პოლიციელების წერილის თემაა: მაფია საგზაო პოლიციაში. დავიწყოთ იქიდან, რომ ხშირად პარლამენტიდანაც ხდება დაუმსახურებელი საყვედურები საგზაო პოლიციის მიმართ, რომ ჩვენ ყოველ მეტრში ვაჩერებთ მოქალაქეებს და ნორმალური გადაადგილების საშუალებას არ ვაძლევთ ხალხს. შენიშვნა სავსებით სამართლიანია, მაგრამ ფაქტიურად რაც ხდება7 ქვემოთ მოგახსენებთ8 პარლამენტში არ იციან დეპუტატებმა შ.ს. სამინისტროში შემავალი რა სტრუქტურები დგანან ჭუჭაში. ჩვენ შევეცდებით გაგიმარტოთ: ყოველდღიურად საგზაო პოლიციის შემადგენლობის 100 ან მაქსიმუმ 110 თანამშრომელი გამოდის ხაზზე სამუშაოდ სმენაში, მაგრამ გადავხედოთ ქალაქს, სულ ცოტა სამი ათასამდე კაცი დგას ჭუჭაში. ისმება კითხვა: აბა, ვინ არის დანარჩენი ხალხი?! მოგახსენებთ



ბატონო, ქალაქის ჭუჭებსა და საგზაო მაგისტრალებს აკონტროლებს კიდევ შემდეგი სტრუქტურები: საპატრულო სამსახურის ლეგიონი, რომელთა უფლება-მოვალეობებს წესდებით შეადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქში. მათ ტრანსპორტის მოძრაობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, მათ დანაყოფში 1500-მდე კაცი მუშაობს. სინამდვილეში ისინი მხოლოდ და მხოლოდ საგზაო პოლიციის ფუნქციას ასრულებენ, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა და აგრეთვე შ.ს. მინისტრ კვირაიას ბრძანებისა, რომლითაც აეკრძალათ მათ ტრანსპორტის გაჩერება, ყველაფერი აღმოჩნდა უშედეგო. მავანს და მავანს აწყობს, რომ ისინი ჭუჭაში იდგნენ და ტრანსპორტს აჩერებდნენ, პასუხი თქვენთვის მოგვინდია, ალბათ, მიხვდებით რატომ. ასევე ჭუჭაში ტრანსპორტს აჩერებს ლამის მილიცია, რა თქმა უნდა დღისითაც, არაოფიციალურად, ყველა მილიციის უფროსი თავის რაიონში რეიდებს აწყობს თავისი ძალებით, მუნიციპალური მილიცია, უბნის ინს-

გაგრძელება მე-3 გვ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობა

ჭორაობა მარტო მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა საყვარელი საქმიანობა როდია, ჭორსა და მითქმა-მოთქმას პოლიტიკოსებსა და პოლიტიკაშიც დიდი მაზანდა აქვს. ჭორს ყოველთვის დაინტერესებული მხარე ავრცელებს, მას სიხარულით აიტაცებს ხოლმე ასევე დაინტერესებულთა კასტა, ჭორის ობიექტის გულშემატკივარი კი შეწუხებული ღებულობს მისთვის არასასურველ ინფორმაციას და ცდილობს გაერკვეს როგორაა საქმე სინამდვილეში?

პოლიტიკაში ჭორმა შეიძლება ითქვას სისტემური ხასიათი შეიძინა და პირდაპირ პოლიტიკის დონეზე ავიდა. ალბათ არსებობს ამ საქმის დიდოსტატთა სპეცსამსახურიც,რომელიც, როცა დასჭირდება შემკვეთს, ისეთ ხმას დაყრის, რაც მოწინააღმდეგის წისქვილზე არ ასხამს წყალს.

ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს დღეები მორიგი ჭორით აღინიშნა — გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე პარტია გაითიშა და მისმა რამდენიმე ცნობილმა წევრმა პარტიის რიგები დასტოვაო.

ეს ამბავი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ძალიანაც გაუხარდათ. ვერც გაამტყუნებ, მათ მომავალ არჩევნებში რესპუბლიკელთა სახით ძლიერი კონკურენტი ეგულებათ და თუ ეს პარტია დასუსტდება, გზა ეხსნებათ გამარჯვებისაკენ. მოკლედ აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს ადგილი, ერთ ქართულ ანდაზაში რომაა გადმოცემული, მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო.

ქვეყნისთვის საბედნიეროდ და მათდა სამწუხაროდ ხმები რესპუბლიკელთა შორის განხეთქილების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება, პირიქით, ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ის სერიოზული პოლიტიკური ძალაა, რომელთანაც კონკურენცია იოლი არავისთვის არ იქნება, ცხადია პატიოსანი არჩევნებისა და პროპაგანდის საშუალებათა პატიოსნად გამოყენების შემთხ-

გაგრძელება მე-2 გვ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული კომიტეტი

1. დავით ბერძენიშვილი (პოლიტიკური მდივანი)
2. რომან გოცირიძე (აღმასრულებელი მდივანი)
3. ნოდარ გრიგალაშვილი
4. თამაზ დიასამიძე
5. ოთარ ზოიძე
6. შოთა ნადირაშვილი
7. ნოდარ ნათაძე (ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე)
8. ფრიდონ საყვარელიძე
9. ბესო ფაჩუაშვილი
10. ვახტანგ ძაბირაძე
11. ვახტანგ ხმალაძე

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობა

პირველი გვერდიდან

ვევაში. თუ ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ხდება დღეს.

დღეს კი უკვე იკვეთება აშკარა ტენდენციურობა, ძალადობა, თავს მოხვევა საზოგადოებისათვის მხოლოდ იმისა, რაც ხელისუფალთა პოლიტიკურ ავანსცენაზე ყოფნის გახანგრძლივებას უწყობს ხელს.

მაგალითად, იმ დღეს, როცა ჩატარდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ყრილობა, პარალელურად მიმდინარეობდა ყრილობა მოქალაქეთა კავშირისა. არავისთვის უცხო არ არის ის ფაქტი,რომ ეს ორი პოლიტიკური ძალა ორი განსხვავებული პოლიტიკური გზისა და ორიენტაციის მატარებელია.

საქართველოს ტელევიზიამ და რადიომ დეტალურად გააშუქა გუშინწინ შექმნილ მოქკავშირელთა ყრილობა, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე კი, რომლის მრავალი წევრი პერმისა და კოლიმის პოლიტპატიმართა ბანაკებში იხდიდნენ სასჯელს, სხვათაშორის ბევრი ამჟამინდელი მოქკავშირელის წყალობით, აუცილებელი, მშრალი და თანაც არასწორი ინფორმაციით დაკმაყოფილდნენ. ჭორის აგორებას, იქნებ, ამანაც შეუწყო ხელი. რა მოხდა სინამდვილეში ყრილობაზე? რეალური ინფორმაცია ასეთი გახლავთ.

8 ივლისს გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში ჩატარდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ დელეგატები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩამოყალიბებული 84 რეგიონიდან. ქვორუმი იყო უჩვეულოდ მაღალი. ყრილობა გახსნა პარტიის პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა ბ-ნმა რომან გოცირიძემ, მანვე პოლიტიკური საბჭოს წინადადებით ყრილობის თავმჯდომარის კანდიდატურად დარბაზს შესთავაზა აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი.

აუცილებელი ფორმალური პროცედურების შემდეგ ყრილობა ბატონ შოთა ნადირაშვილის თავმჯდომარეობით შეუდგა მუშაობას.

დღის წესრიგში იყო სამი საკითხი:

1) პარტიის წესდების განხილვა

2) პარტიის სტრუქტურის საკითხი

3) სხვადასხვა

მიღებულ იქნა ცნობად, რომ სექტემბერში ყრილობა კვლავ გააგრძელებს მუშაობას, სადაც გამოტანილი იქნება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ამის შემდეგ ერთგვარი შესავალი მოხსენებით გამოვიდა ბ-ნი ვახტანგ ხმალაძე. მან აღნიშნა: ჩვენ ვიცით, რომ ქარტია 91-ის, რესპუბლიკური პარტიის და სახალხო ფრონტის გაერთიანების შემდეგ ჩატარდა უდიდესი ორგანიზაციული სამუშაო ამ ორგანიზაციების შერწყმის ხაზით. ამ მუშაობამ გვიჩვენა, რომ გარკვეული ცვლილებების შეტანა შეიძლება იმ წესდებაში, რომლის მიხედვითაც პარტია მუშაობს. პოლიტიკურმა საბჭომ მოამზადა წესდების პროექტი; რომელიც განხილულ იქნა პოლიტსაბჭოს დარბაზის სხდომაზეც. და ტექსტი, რომელიც დღეს დელეგატებს დაურიგდა, მოიწონა პოლიტსაბჭომ ხმათა უმრავლესობით. ამ დოკუმენტში რამოდენიმე მუხლს მიწერილი აქვს სიტყვა „ვარიანტი“. ეს არის ის პოზიცია, რომელიც ხვდა პოლიტსაბჭოს წევრთა ამ სხდომაზე უმცირესობაში მოხვედრილ ნაწილს. რაც შეეხება წესდების სტრუქტურას, იგი განსაზღვრულია შემდეგნაირად: პარტიის უმაღლესი ორგანო გახლავთ ყრილობა, რომელიც მოიწვევა, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ. ყრილობებს შორის პარტიის უმაღლესი ორგანოა დარბაზი. ის მოიწვევა ორ თვეში ერთხელ — სხდომებს შორის პერიოდში პარტიის საქმიანობას წარმართავს ეროვნული კომიტეტი,რომელიც აირჩევა ყრილობის მიერ. ის არის პარტიის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც



წარმართავს პარტიის საქმიანობას. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი წესი, რომ დარბაზი განსაზღვრავს პარტიის კურსს ყრილობებს შორის პერიოდში. დარბაზს უფლება აქვს გააუქმოს ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება. ამდენად, ამ პუნქტის შემუშავებისას საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ დარბაზში მონაწილეობდნენ პარტიის ის წევრები, რომლებიც რეალურად ახორციელებენ პარტიის პოლიტიკას. ე.ი. საუბარია წევრთა საპარლამენტო ნაწილზე. საბოლოო ჯამში, დარბაზის შემადგენლობის ფორმირებისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ მასში შედიოდეს რეგიონალური ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით, სულ არის 84 რეგიონი. ამას ემატება ეროვნული კომიტეტის 11 წევრი, ემატება პარტიის წევრთა საპარლამენტო წარმომადგენლობა, აგრეთვე პარტიის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები, გაზეთის რედაქტორი, პარტიის აპარატის, პრესსამსახურისა და ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელები. ეს საკითხი პოლიტიკურ საბჭოში სრულ შეთანხმებამდე მივიდა. ახლა გადავიდეთ იმ საკითხზე, რომელიც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ეს გახლავთ პარტიის უმაღლესი პირის არჩევის საკითხი. პირველი პირი, ანუ თავმჯდომარე უნდა აირჩეს ყრილობის ან ეროვნული საბჭოს მიერ. მეორე პირია პოლიტიკური მდივანი და მესამე პირი — აღმასრულებელი მდივანი. ახლა გთავაზობთ ორ ვარიანტს. 1. თავმჯდომარეს ირჩევს ყრილობა და მისი გადარჩევაც ყრილობას ევალება. 2. მას ირჩევს ეროვნული კომიტეტი. თავმჯდომარე კი ნიშნავს ეროვნული კომიტეტის თანხმობით პოლიტიკურ და აღმასრულებელ მდივნებს. თავმჯდომარის გადარჩევა შეუძლია კომიტეტს ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. აი, ასეთია ის ორი პოზიცია, რომელზეც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მე ვთვლი, რომ პირველი პირი უნდა აირჩიოს ეროვნულმა კომიტეტმა შემდეგი მოსაზრებით: თუ ყრილობა ქმნის ორ ორგანოს, ერთის მხრივ ეროვნულ კომიტეტს, მეორეს მხრივ თავმჯდომარეს, ანუ ამ ორივე ორგანოს აქვს ყრილობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებანი, არ გამოვრიცხავ შემთხვევას, როცა შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა აღმოჩნდეს თავმჯდომარესა და ეროვნულ კომიტეტს შორის.

ორატორებმა როგორც პირველი, ისე მეორე ვარიანტის მხარდასაჭერად უამრავი არგუმენტი წარმოადგინეს.

სიტყვით გამოვიდნენ ბატონები— ნ. ნათაძე, რ. გოცირიძე, ი. ხაინდრავა, მ. ურიდია, თ. პაატაშვილი, ი. მელაშვილი, ნ. გრიგალაშვილი, დ. ბერძენიშვილი, ვ. ძაბირაძე, გ. ბერიშვილი, თ. დიასამიძე, ლ. მესხი, გ. გავაშელი, ლ. შევარდნაძე, დ. ხომასურიძე და სხვები. ვინაიდან პარტიის მრავალი წევრი იმავდროულად საქართველოს პარლამენტის წევრია, ხშირად ბატონო დელეგატებოს ნაცვლად გაისმოდა მიმართვა — ბატონო დეპუტატებო. ამ უნებლიე შეცდომას ორატორები ასწორებდნენ იმით, რომ პარლამენტისაგან განსხვავებით ყრილობაზე განსხვავებული აზრის სრული შემწყნარებლობით მოსმენა ხდებოდა და კამათის კულტურა შესაშურად დახვეწილი იყო, რაც გამოიხატა არაორდინალური ფინალითაც. ბატონებმა თ. პაატაშვილმა, მ. ურიდიამ, ი. მელაშვილმა, რომელნიც პირველ ვარიანტს უჭერდნენ მხარს, მათი წინადადების ვერ გასვლის შემდეგ განაცხადეს, რომ მართალია ეროვნულ კომიტეტში ასარჩევ კანდიდატურებიდან თავიანთ პერსონებს ხსნიან, რადგან ყრილობის მიერ მიღებულ სტრუქტურას არ ეთანხმებიან, მაგრამ კვლავ რჩებიან მეგობრების, თანაპარტიელების და თანამებრძოლების ამპლუაში, რითაც მიმართვის ადრესატთაგან ასევე თბილი და ლირიკული საპასუხო გამოსვლები დაიმსახურეს. აი, ეს პოლიტიკური ცხოვრებისათვის ყოვლად ნორმალური ფაქტი იქცა ჭორისმოყვარულთა მითქმა-მოთქმის საბაბად.

ყრილობამ აირჩია ეროვნული კომიტეტი 23 დასახელებული კანდიდატიდან 11 კაცის შემადგენლობით, რომელთა სიაც გაზეთის პირველ გვერდზეა წარმოდგენილი. ეროვნულმა კომიტეტმა თავმჯდომარედ აირჩია ნოდარ ნათაძე, თავმჯდომარის წარდგინებით კი პოლიტიკურ მდივნად არჩეულ იქნა დავით ბერძენიშვილი, ხოლო აღმასრულებელ მდივნად — რომან გოცირიძე.

ყრილობამ იმავე 8 ივლისს, ღამის 11 საათზე მუშაობა

რეპლიკები

ასე აპირებენ ქვეყნის აშენებას?

უკვე დადგინდა საქართველოს რესპუბლიკის არჩევნების დღე — 1995 წლის 5 ნოემბერი, რის შემდეგაც საარჩევნო ციებ-ცხელებამ უფრო იმატა. პოლიტიკური პარტიები თუ ორგანიზაციები ყრილობებს ატარებენ, გეგმებს ადგენენ და თავიანთ პლატფორმებს გვთავაზობენ მომავალი არჩევნებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს მოქალაქეთა (სმკ) პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც უკვე ფაქტობრივად პოლიტიკური პარტიაა. ამ პოლიტიკურ პარტიას ახლო მომავალში ქვეყნის ხსნის ლამის ერთადერთ პოლიტიკურ ძალად მოაქვს თავი. სმკ-ი გვპირდება ნამდვილ თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მოკლედ, ყოველგვარ სიკეთეს ქვეყნისათვის.

ეს ნოტები გაისმოდა 7-8—9 ივლისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სმკ-ის ყრილობაზე. როცა ამ თავყრილობაზე „ფილარმონიის ლომები“ (ეს სახელი მათ უკვე დაიმსახურეს) საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას „განამტკიცებდნენ“, სწორედ ამ დროს აფხაზეთის რეალური ხელისუფლება ახალ ნაბიჯებს დგამდა საქართველოსაგან სრული გამოყოფისათვის (რუსეთის „დუმას“ დელეგაციის სტუმრობა აფხაზეთში საქართველოს რესპუბლიკის გვერდის ავლით და სათანადო დაპირებებით, ამის უტყუარი დადასტურებაა). ისმენ სმკ-ის დეკლარაციებს, განცხადებებს, დაპირებებს და ძალაუნებურად გიჩნდება კითხვა — ამ დალოცვილი-შვილების დიდი ნაწილი ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურაა, საგრძნობი ნაწილი კი დღევანდელ ხელისუფლებაშია, არც მაშინ და არც ახლა მათ საქმეს ქვეყნისათვის სიკეთე არ მოყოლია და რაღა ახლო მომავალში ითეთრებენ პირს?

იქნებ ყველაფერი ეს წინასაარჩევნო ციებ-ცხელებითა და პოლიტიკური ბრძოლის მოტივით გავამართლოთ, მაგრამ რა ეუყოთ იმ ფაქტს,რომ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიზმის „ოქროს მეებს“ გვპირდება, თვით მათი თავყრილობის დღეებში ვითომც არაფერი, ისე ხუჭავს თვალს ელემენტარული დემოკრატიული პრინციპების დარღვევაზე. კერძოდ, საინფორმაციო საშუალებებით განსაკუთრებული რეკლამა უკეთდება მხოლოდ სმკ-ის ყრილობას, პოლიცია საგანგებოდ იცავს შენობას, სადაც მათი ყრილობა მიმდინარეობს, ამ დროს თითქმის სრული დუმილია სხვა პოლიტიკური პარტიის ყრილობაზე. თუკი გაახსენდებათ სხვა პარტიის ყრილობა, ისიც მხოლოდ დისკრედიტაციის მიზნით და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ბუნებრივია კითხვა სმკ-ის წევრთა და მათ მესვეურთა მისამართით— ასე აპირებენ დემოკრატიული ქვეყნის აშენებას?

მიხეილ მახარაძე

არანეიტრალური «ნეიტრალი»

1990 წლის მარტის თვეში, ზოგიერთი დღევანდელი მედროვის გაგებით ე.წ. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა ლენინის ძეგლი „გააგორეს“ ბათუმში. აჭარის მაშინდელი ხელისუფლება ამ პროცესებიდან არსებითად გვერდზე დადგა,გარდა ერთისა. ეს ერთი — არანეიტრალური გახლდათ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნუგზარ ნადარაია. მაგრამ მისმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო და ვერ იხსნა „ხალხთა ბელადი“. დრო იყო მაშინ ისეთი — ეროვნულ მოძრაობას ისეთი ავტორიტეტი და მხარდაჭერა ჰქონდა ხალხის მხრიდან, რომ ნუგზარ ნადარაიასნაირები ვერას დააკლებდნენ.

გამოხდა ხანი, დრო შეიცვალა. ბ-ნი ნ. ნადარაია, ისე როგორც ბევრი მისთანა კომუნისტური ნომენკლატურიდან, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გახდა, სადაც მან ჩამოაყალიბა ფრაქცია „ნეიტრალები“. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს „ნეიტრალები“ და მათი თავმჯდომარე „რატომღაც“ არანეიტრალურად იქცეოდნენ და მუდამ უმრავლესობის, ე.ი. სახელმწიფოს მეთაურის მხარეს იდგნენ, თუნდაც ზოგჯერ აშკარად მიუღებელი წინადადებების გადწყვეტისას.

ბოლოსდაბოლოს დაუფასდა „ნეიტრალობა“ არანეიტრალურ ნ. ნადარაიას და იგი ახლახან ამგვარი გარჯისათვის ქ. ფოთის მერად დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით. ვერაფერს იტყვი, კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლებს ვინ ასწავლის „ნეიტრალობის“ ფასს.

ლ.ვ.

სხვადასხვა

პარლამენტში უნდა აიკრძალოს ყეფა

ასეთი ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს კენიის კანონმდებლებმა მოკლე დებატების შემდეგ ეროვნულ ყრილობაზე.

დისპუტი ასეთ მოულოდნელ თემაზე გამოიწვია ერთ-ერთი დეპუტატის კასილი კრისა კამუდიოს „გამოსვლამ“.

აიღო რა მან სიტყვა, ყველასათვის მოულოდნელად ხმამაღლა დაიყეფა. გაოგნებული დარბაზი გონს მოსვლის შემდეგ ხარხარმა შესძრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც დეპუტატები დაცხრნენ, მიმართეს პარლამენტის სპიკერს ფრენსისუ ოლუ კაპაროს, რათა მას აღეკვეთა ეს უმსგავსობა.

დეპუტატებმა უნდა ილაპარაკონ და არ უნდა იყეფონ, დაუწყო დარწმუნება სპიკერმა მყეფარს, რომელიც აბსოლუტურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა ამ ორიგინალური „გამოსვლის“ შემდეგ.

კი მაგრამ, რა განსხვავებაა — შეეკითხა თავის მხრივ სპიკერს დეპუტატი — როდესაც მე გამოვდივარ პარლამენტში, მეჩვენება, რომ ველაპარაკები ქვის კედელს. მე ან მისმენენ, ან ისე იქცევიან, თითქოს ვერ გებულობენ ჩემს ნათქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილს რომ ხელი მოვაწეროთ, ჩათვალეთ, უმუშევრები დავრჩებით ან მიქელ-გაბრიელს ჩაგვაბარებენ!

მაფია პოლიციაში

პირველი გვერდიდან

პექტორები, სისხლის სამართლის სამძებროს ხალხი და სხვა. ეხლა ამას თუ დაკუმატებთ სხვადასხვა ფორმიანს, წყალსადენის მილიცია თუ ობიექტების დაცვის მილიცია, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ფორმიანი დგას ქუჩაში და აჩერებს ტრანსპორტს, რომელთა უფლება-მოვალეობაში არ შედის ტრანსპორტის გაჩერება. ამათ ემატებათ კიდევ აფხაზეთის საგზაო პოლიცია 150-მდე კაცის შემადგენლობით. ყველაფერი კი ბრალდება თბილისის საგზაო პოლიციას. თუ მოხდება ავტოსაგზაო შემთხვევა, არავინ აგებს პასუხს, გარდა ჩვენი დანაყოფისა, რადგან სხვამ არც არაფერი იცის ავარიის გაფორმების და არც ეხებათ მათ. ეხლა დავასურათებთ იმ სტრუქტურას, რა სტრუქტურითაც ხდება საგზაო პოლიციის განაწილება. ძირითადად საგზაო პოლიცია ემსახურება თბილისის შემდეგ რაიონებს: მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს და დიდუბის რაიონს (დ. აღმაშენებლის გამზირს ძირითადად), დანარჩენი რაიონები კი უპატრონოდაა მიტოვებული საგზაო პოლიციის მიერ, არავინ კითხულობს დანარჩენ რაიონებს, იქ რა ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდება, რამდენი დაიღუპება და სხვა. ე.ი. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საგზაო პოლიციის ინსპექტორი ასრულებს ავტოსადგომის მორიგის როლს. იქ სადაც დგას საგზაო ნიშანი „გაჩერება აკრძალულია“, ყველგან თითოეულ ნიშანთან უნდა იდგეს პოლიციელი და არ გააჩეროს მანქანა. ალბათ, სასაცილოდ მოგეჩვენებათ, რაღად გვინდა საგზაო ნიშნები?!

თავიდან ჩვენ სიტყვა მაფია ეახსენეთ, შეეცდებით აგიხსნათ რაში გამოიხატება და რას აკეთებს მაფია პოლიციაში. ქალაქის ყველა შემოსასვლელში დგას საგუშაგოები: რუსთაველის გზაზე — „სოფანლუღის საგუშაგო“, კახეთის გზაზე, —“ლოჭინის საგუშაგო“, გაჩიანის გზაზე „გაჩიანის საგუშაგო“, ზაპესში — „ზაპესის საგუშაგო“, მცხეთიდან შემოსასვლელში ორი საგუშაგოა— შემომსვლელი და ქალაქიდან გამსვლელი. ეხლა რა მოუალეობა აკისრიათ მათ კანონით

უნდა გავიდეს დამნაშავე და მათი ეალია დამნაშავეების დაკავება ან ინფორმაცია, უკანონოდ კი ითითოეულ საგზაო პოლიციის ინსპექტორს იმდენი თანხა აქვს შეწერილი, რომ თქმაც კი ძნელია. ანალოგიურია აფხაზეთის საგზაო პოლიცია და საპატრულო სამსახურის ლეგიონი. უკვე მიგიხვდით რაც ჩაფიქრეთ, ყოველივე ამას მტკიცება სჭირდება, თორემ დაუსაბუთებელს ხომ ვერ დასწერთ გაზეთში? რასაც ვწერთ ეს აქსიომაა და მას მტკიცება არ სჭირდება, დავიწყოთ მცხეთიდან შემოსასვლელით. ვინ დგას ამ გზაზე? დაახლოებით 5 ეკიპაჟი აფხაზეთის საგზაო პოლიციის და ამდენივე საპატრულო სამსახურის, არც ერთი თბილისის საგზაო პოლიციიდან, ფიზიკურად ყოველ 100—200 მეტრში დგანან და თბილისის საგზაო პოლიციას ფიზიკურად ადგილი არ რჩება. ავიღოთ რუსთაველის გზა. იქაც ანალოგიურია, ავიღოთ კახეთის გზა, იქაც აფხაზეთის საგზაო პოლიციაა და საპატრულო სამსახური. ამის შემოწმება სულ რაღაც ორ საათში შეიძლება, ფაქტი თავისას იტყვის. აბა შეეკითხოთ მოსახლეობას, ქალაქში არსებული საგუშაგოებიდან მოქალაქეებს ვისი უფრო ეშინიათ, აფხაზეთის საგზაო პოლიციის, საპატრულო სამსახურის ლეგიონის თუ თბილისის საგზაო პოლიციის? ეხლა დაგებადებათ კითხვა, რას აკეთებს გენერალური ინსპექცია, რატომ ყურადღებას არ აქცევს ამ არაფორმალურ სტრუქტურებს? ნუთუ მათ მაინც არ იციან, ვის ეხება საგზაო მოძრაობის რეგულირება კანონით და ვის არა. რა თქმა უნდა იციან, მაგრამ სდუმან და რაზომ?! პასუხი თქვენთვის მოგვინდია, ე.ი. მავანს და მავანს აწყობს მათი ქუჩაში დგომა. ეხლა შევეხედოთ რა ხდება თვით თბილისის საგზაო პოლიციაში, შენობა დანგრეულია, მისი აღდგენისათვის არავინ ზრუნავს, რამოდენიმეჯერ აიკრიფა გარკვეული თანხა თითოეული თანამშრომლისგან, მაგრამ სად გაქრა ეს თანხები არავინ იცის. ჩვენ-არ ვამბობთ, რომ საგზაო პოლიციაში იდეალური ხალხი მუშაობს, აქაც საერთოდ გასაყრელია 25-30%, ეს ისეთი ხალხია, ვისაც დიდძალი თანხა აქვს დახარჯული აქ მისვლაში ან ვინმე დიდი პიროვნების რეკომენდაციითაა მოსული, მათ სამსახური არ აინტერესებთ, მათ ის თანხა უნდა ამოიღონ, რაც დახარჯეს და კიდევ... მაგრამ ძირითადად კოლექტივი ძლიერია, ბევრი საქმის მცოდნე და პატიოსანი მუშაობს, ხალად მოაზროვნე და საქმის ერთგული ხალხი ბევრია. გვეუბნებიან, როგორც გინდათ ისე შეიძინეთ ფორმა, იყიდეთ, ვისაც გინდა წაართვით, ფორმის ყიდვა თუ არ შეგიძლიათ, აქ არ უნდა იმუშაოთო, ტყვიაც თქვენ იყიდეთ და შენობაც თქვენ შეინახეთო, იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ საგზაო პოლიციის სამმართველოში ხელფასი არ გაცემულა ოთხი თვეა, რით შევიძინოთ, ვიყაჩაღოთ თუ მოვიპაროთ?! ამ გაძვალტყავებულ ხალხს, რომელსაც ლუკმაპური უჭირს, რა უნდა წაგლეჯოთ? ყოველდღე რაღაც თანხები გროვდება სამმართველოში, მავანმა რესტორანში იქეიფაო, ჩვენ რატომ უნდა გადავიხადოთ

საჩუქარი უნდა იყიდოსო, მავანის შვილი ლენინგრადში მიფრინავს და ბილეთი უნდა აუღოთო, ყველაფრის არც დაწერა შეიძლება და არც ჩამოთვლა. ფაქტიურად დასვენების დღეები საერთოდ არა გვაქვს. როდემდე? გადაღლილ-გადაწყვეტილი ხალხი ადვილი გამოსაჭერია, ვიღაც ორი წუთით დაიგიანებს, ვიღაც ველარ გაუძლებს არაადამიანურ ფეხზე დგომას რამოდენიმე დღე-ღამე, ვიღაცას ფორმა დაუძველდება, ვიღაც სიგარეტს მოსწევს და წასულია მისი საქმე, ჩავარდება „მტრის“ ხელში და მისი ბრჭყალებიდან გამოხსნა ძვირი ჯდება, ხან დოლარებში და ხან რუსულ მანეთებში, კუპონები არ უყვართ. ნახეთ ახლა რა ტენდენციაა, ამდენი და ამდენი ოქმი უნდა დაწერო, ამდენი ჯარიმა უნდა შემოიტანო, რაღაც დოგმატიური.

თუ იმდენი არ გამომივა, თავისთავად ცხადია, ვინც ბოლო ადგილზე მოხვდება, იმას მოუწევს სამსახურის დატოვება ან თუ ფული აქვს, მაშინ გადარჩება, თუ არადა კარგად მეყოლეთ. შენს მაგივრად ახალს მიიღებენ და იმ საცოდავს იმდენს წაართმევენ, საერთოდ შეჯავრდება საგზაო პოლიცია. მოკლედ ძალიან ბევრ უკანონობას და ადამიანთა ჩაგვრას აქვს ადგილი. ადამიანის უფლებებზე აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუ ვინმემ კანონიერება მოითხოვა, ვაი მისი ბრალი, რაღაცას გამოუძებნიან და გაანთავისუფლებენ, რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს. მაგალითისთვის ერთიც კმარა, პოლიციის მაიორი გივი ძმანაშვილი გაათავისუფლეს სამსახურიდან, მიზეზი კი ასეთია, იგი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (იგი ოცეულის მეთაური იყო), არ მუშაობს თავისი პროფესიითო, სწერია მის ატესტაციაში. ახლა გეკითხებით, კაცს რამოდენიმე თვე დარჩა პენსიამდე, ოცდაოთხ წელზე მეტი იმუშავა და ახლა არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას? უბრალოდ, ამ კაცს ენა არ ჰქონია კარგი,ხელმძღვანელობას სიმართლე მიახალა პირში და სამსახურიც დაჰკარგა, თუმცა მარტო სამსახურიდან არ გაუგდიათ, ჯერ გალახეს, სცემეს და იარაღითაც დემუქრნენ. ამის შემოწმებაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს; რადგან ძმანაშვილმა იჩივლა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, დიდ ჩინოვნიკებს იგი ვერ მოერია. სიმართლის თქმისთვის დაექვემდებარა თანამდებობიდან საგზაო პოლიციის თანამშრომელი, დივიზიონის მეთაური,ვიცეპოლკოვნიკი კობიაშვილი, რომელმაც თავისი თანამშრომლების, ხელქვეითების ინტერესი დიცვა კანონიერად. კიდევ მეტს გეტყვით, მოქალაქე წერს სანივარს, დავარღვიე მოძრაობის წესი, ინსპექტორმა დამიწერა ოქმი და უნდა გადავიხადო ჯარიმაო, ვინაიდან ჯარიმის გადახდის საშუალება არა მაქვს, გთხოვთ ინსპექტორი დასჯოთო, ვიღაცა ადებს რეზოლუციას „გაანთავისუფლეთ“-ო, გინახავთ მეტი უკანონობა?! პატივცემული რედაქტორო, ძალიან გთხოვთ დაუკვირდეთ განსაკუთრებით შემდეგს, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება, ფაქტი სახეზე გვაქვს: 1994 წლის 6 ოქტომბრის, თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილება №08.01.49 თანახმად ქალაქის მერმა ბატონმა ლეკიშვილმა გაამაცარა საჯარიმო სანქციები დამრღვევ მძღოლებზე. რა შედეგი მოგვცა ამან, ყველამ იცის. ამ გადაწყვეტილების თანახმად, პირდაპირ არის მითითებული და თვით ლეკიშვილი აწერს ხელს (ალბათ ეს მისი პირველი მოტყუება არ უნდა იყოს), ტექსტი დაცულია: „საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთაგან ამონაგები საჯარიმო თანხებიდან 60% დარჩეს საგზაო პოლიციის სამმართველოს განკარგულებაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. 40% აქედან საგზაო პოლიციის, 40% ქალაქის მერიას და 20% ინსპექტორს, ვინც შეადგინა ოქმი“. იქვეა მოხსენებული, ვის დაკვალოს მასზე მკაცრი კონტროლი და შესრულება, მაგრამ თქვენ მანამდე არაფერი გეტყინოთ, საგზაო პოლიციის ინსპექტორებს კაპიკიც არ უნახავთ, სად წავიდა ამონაგები საჯარიმო თანხები?! აქვე გვინდა დავძინოთ, პოლიციის მაიორ ძმანაშვილის მოთხოვნის ერთ-ერთი პუნქტი ესეც იყო, რის გამოც იგი უმუშევარია და იცით კიდევ რატომ, იმიტომ რომ იგი პრინციპული პოლიციელი იყო, მან დაიკავა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ერთი დიდი თანამდებობის პირის მძღოლი, მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს, ცდილობდა იარაღი ეხმარა, რაც ჩამოართვეს, გაბრაზებულმა სიესის ბალონი შეასხა მაიორ ძმანაშვილს, რა თქმა უნდა, იგი დაიკავეს. საიდან ჰქონდა სიესის ბალონი ან რა უფლებით, არავინ იცის, მასზე უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, მძღოლი კვლავ იარაღით დადის, შეიძლება სიესის ბალონიც აქვს და ძმანაშვილი კი უმუშევარია — ალბათ მიხვდით ყველაფერს...

ახლა გეკითხებით თქვენ და საზოგადოებას: ვის აწყობს ქუჩაში ამდენი პოლიციელი იდგეს და მანქანას აჩერებდეს, ჩვენ თუ მავანს და მავანს? წესდებით ყველას თავის უფლება აქვს, მინისტრმა კეირაამ ბრძანებულებაც კი გამოსცა, რომ გარდა საგზაო პოლიციისა არავინ გააჩეროს ტრანსპორტიო, მაგრამ იგი ქალალდზე დარჩა. ფაქტიურად რაც ხდება მისი ნახვა ყველას შეუძლია. სალანძღავად ჩვენ ვართ და დანარჩენები თავს კარგად გრძნობენ.

გვინდა მოგახსენოთ, რომ ქალაქ თბილისის ქუჩები და მაგისტრალები განაწილებული აქვს აფხაზეთის საგზაო პოლიციას, საპატრულო სამსახურის ლეგიონს და სხვას, თვით თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველო კი მხოლოდ პასუხს აგებს შედეგზე. მიზანი რა არის ამ დანაწილების, ალბათ თქვენ მიხვდებით. კიდევ უამრავი ნიუანსია, რომელსაც ქალალდი ვერ დაიტევს, მაგრამ თქვენ თუ დაინტერესდებით, ათას უარესს წააწყდებით. ჩვენი უმორჩილესი მოთხოვნაა, დაგვეხმაროთ, გააცნოთ საზოგადოებას ჩვენი გასაჭირი, ყველა შ.ს. სამინისტროს სტრუქტურამ იმუშაოს, თავისი კანონით გათვალისწინებული უფლებით, უხელფასოდ მუშაობა ძალიან გვიჭირს, ჩვენც ისეთივე ერის შვილები ვართ, როგორც სხვა დანარჩენნი და საგზაო პოლიციელად არავინ იბადება, ჩვენც გვაქვს ოჯახები, შვილები, შვილიშვილები და ჩვენც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. ჩვენი სახელი ლაფში ისვრება სხვისი ხელით. ძალიან გთხოვთ ბატონო რედაქტორო, ამ წერილს ანონიმურში ნუ ჩათვლით, რაც აქ სწერია, მისი შემოწმება სირთულეს არ წარმოადგენს. აქ რომ ჩვენ რამოდენიმე კაცმა ხელი მოვაწეროთ, ჩათვალეთ, რომ ყველა უმუშევრები დავრჩებით ან მიქელ-გაბრიელს ჩაგვაბარებენ, მაგრამ ღვერთი-რჯული ჩვენ სხვა არაფერი გვაინტერესებს, გარდა სიმართლისა, თუ თქვენც შეშინდეთ ჩვენსავით ბატონო რედაქცია, ნუ გადადებთ თავს, რამეთუ იგი ხვალაც საჭირო იქნება თქვენთვის და ქვეყნისთვის, მაგრამ ჩვენ თქვენი იმედი მაინც გვაქვს და

იმედია სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. ხალხი შეღონდა, ვერ გაუგიათ ვის დაემორჩილონ, ვის გაუწიონ მანქანა, ვის რა ეკუთვნის. დაბნეულია ხალხი, მათი წყრომა სამართლიანია, თუ ხალხს ვემსახურებით, ამის გულისთვის ხომ არ უნდა შევეჯამოთ ისინი. ჩვენ ქუჩაში გვიხდება სამსახური და უბრალო მოქალაქეები ჩვენთან გამოთქვამენ გულისტკივილს. ამას წინათ ერთმა მოქალაქემ ასე მითხრა: “ГАИ-ის ხალხს რომ გხედავთ, მიხარია და ეს ПМС ვინღაა ვერ გავიგეო“. საგზაო პოლიცია ეს ყოფილი სახელმწიფო ავტოინსპექციაა „ГАИ“, ხოლო „ПМС“ საპატრულო ლეგიონი. ჩვენს საგზაო პოლიციას მიხედვა სჭირდება, თანამშრომლები გმინავენ, სწუხან, როდემდე შეიძლება ასე გაძლოთ არავინ იცის...

პატივისცემით საგზაო პოლიციის ინსპექტორთა ჯგუფი.

რედაქციისაგან: ზემოთწარმოდგენილი წერილი შემოკლებით დაიბეჭდა. ამჯერად მოვერიდეთ იმ კონკრეტული ხელმძღვანელებისა და გვარების გაზეთის ფურცლებზე გამოტანას, რომელთა მისამართითაც წერილის ავტორებს ასევე კონკრეტული ბრალდებები ჰქონდათ წაყენებული. იმედია შ.ს.ს. ხელმძღვანელობა პოლიციელთა ჯგუფის ამ წერილს მსჯელობის საგნად აქცევს და ხალხისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს მიიღებს. ადამიანებს უფორმო ყაჩაღების ეპოქის შემდეგ პოლიციელი მოენატრათ, მაგრამ პოლიციამ ისე უნდა წარმართოს თავისი მუშაობა, რომ ხალხს არ ათქმევინოს — ვაის გავეყარე და უის შევეყარეო.

საქართველოს პოლიციის ავტორიტეტი დიდწილადაა დამოკიდებული მათივე ქმედებებზე, ჩვენ გულწრფელად გვსურს ეს ავტორიტეტი მაღალი იყოს, რაც ჩვენი სახელმწიფოს შშენებლობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუვლის თუ არა „ჯიპი“ — „თეთრ მელას?“

ბრძოლა პრეზიდენტის ტახტისთვის – წინასაბრძოლო დაზვერვა

დღეს უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ხუთწლიანი „ტაიმ-აუტის“ შემდეგ საქართველოს ალბათ კვლავ ეყოლება „ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი“. არც ისაა საკამათო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს. მითუმეტეს,როცა პრეზიდენტის პოსტი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ ჯერაც „მამა და მარჩენალის“ კონტექსტში აღიქმება. რაც შეეხება იმას, თუ „ვინ იქნება ჩვენი პატრონი“,

ბოლო დრომდე ედუარდ შევარდნაძეს რეალური კონკურენტი არა ჰყოლია, მაგრამ მისმა დაპირისპირებამ ჯაბა იოსელიანთან „წყალი აამღვრია“ და პოლიტიკურ ძალთა სასწრაფო, ახლო წარსულში თითქმის შეუძლებელი გადაჯგუფება გამოიწვია.

არსებობს შეხედულება, თითქოს იოსელიანის განდგომა შევარდნაძეს ბევრს ვერაფერს დააკლებს., არადა სინამდვილეში მდგომარეობა გაცილებით რთულია. შევარდნაძე-იოსელიანის დაპირისპირება — არ არის კონფლიქტი ორ პიროვნებას შორის: მოხდა სერიოზული განხეთქილება თვით ხელისუფლების შიგნით. სახელმწიფოს მეთაურის ყოფილ პარტნიორებს კი ამჟამად ოპოზიციაში რომ გადაბარგდნენ, არც ფული აკლიათ და არც „ზურგი“. რაც მთავარია, მოინახა მათთვის სასურველი პრეზიდენტობის კანდიდატიც, რომელიც მისაღები იქნება „მშრომელთა ფართო მასებისთვისაც“ — ესაა ჯუმბერ პატიაშვილი.

საერთოდ პატიაშვილის მაღალი რეიტინგი საზოგადოებაში, მისი საზოგადოებრივი „რეაბილიტაცია“ (შეიძლებოდა გვეთქვა „რენესანსი“) — ცოტა არ იყოს პარადოქსული ფაქტია.1989 წლის 9 აპრილის შემდეგ პატიაშვილის პოლიტიკური კარიერა თითქოს საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო. თუმცა ქვეყანაში, სადაც მოქალაქეობრივი (და არა მარტო მოქალაქეობრივი) ეთიკის უმწვავესი დეფიციტია — ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გარდა ამისა, ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ნოსტალგიას „ძველ, კეთილ დროებაზე“ ჩვენთან დაემატა თვით ოფიციოზის პერმანენტული პროპაგანდა — აქაოდა საქართველოში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ გამოჩდნენ ქუჩა-ქუჩა მოღრიალე ხულიგნები,გააბრიყვეს ხალხი, გადაგვკიდეს რუსეთი და დაღუპვის პირას მიიყვანეს ქვეყანა. ამგვარი განწყობილების გაღვივებამ კი ფრიად ხელსაყრელი ფსიქოლოგიური ფონი შექმნა ყოფილი ნომენკლატურის რეანიმაციისთვის. კონკრეტულად ჯუმბერ პატიაშვილი უკანასკნელ ხანამდე „ჩრდილში იდგა“. საზოგადოებისთვის ცნობილი იყო მხოლოდ, რომ ბ-ნი ჯუმბერი გაერთიანება „საქთავთავის“ დირექტორად მუშაობდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებში. 1992 წლის ოქტომბერში (მცხეთის რ-ნი) მან დიდი უპირატესობით მოიგო არჩევნები და გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი.

მას შემდეგ პატიაშვილი კვლავ „ჩრდილში გადგა“. იგი არ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას საპარლამენტო ბატალიებში და ჩუმად ჯდომას ამჯობინებდა. თუმცა ე.წ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრიც იყო, ბოლო ხანს კი მოძრაობა „სიცოცხლისათვის“ ექსპერტი.

წინასაარჩევნო პერიოდში, პატიაშვილი, როგორც შევარდნაძის ალტერნატივა, ფრიად მოულოდნელად წარმოჩინდა, მაგრამ არა — შემთხვევით. ჯერ ერთი „ხასტოის“ ბედნიერ ხანას მოწყურებული ობივატელისთვის შევარდნაძის სახელი უკვე ნაკლებად ასოცირდება „კომუნისტურ სამოთხესთან“, ვიდრე პატიაშვილისა. იოსელიანი,გიორგაძეები და K-ც. როგორც ჩანს, პატიაშვილის კანდიდატურას მიემხრობა, ასე რომ მას სათანადო ფინანსური და პროპაგანდისტული მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. და თუ საპარლამენტო არჩევნებისთვის შევარდნაძეს შესაძლოა „გაახსენდეს“, რომ კომპარტია კანონით აკრძალულია, ეს აკრძალვა ჯერჯერობით არავის გაუუქმებია და „პანტელეიმონის ბოლშევიკები“ სულაც „თამაშგარე მდგომარეობაში“ დატოვოს — პრეზიდენტის კანდიდატისთვის ხმის მიცემას ქართველ სტალინისტ-კომუნისტებს,რომელთა სახელიც ლეგიონია — ვერავინ დაუშლის. გარდა ამისა, შევარდნაძისადმი ლამის პათოლოგიური სიძულვილით გამსჭვალულ „ზვიადისტ“ ამომრჩეველთა ნაწილმაც (მათი რიცხვიც არც ისე ცოტაა), თუ სხვა, უფრო „მიმზიდველი“ კანდიდატურა არ მოიძებნა, შეიძლება სწორედ „ილიჩს“ მისცეს ხმა „ამბროსიევიჩის“ წინააღმდეგ. მართალია, თვითონ ბ-ნი ჯუმბერი ამტკიცებს,რომ იგი საერთოდ წინააღმდეგია საპრეზიდენტო მმართველობისა,მაგრამ თუკი ხალხი მის კანდიდატურას წამოაყენებს — უარს არ იტყვის...

ერთი სიტყვით, პატიაშვილი სადღეისოდ სახელმწიფოს მეთაურის ყველაზე რეალური კონკურენტია პრეზიდენტის „ტახტისთვის“ ბრძოლაში. უფრო მეტიც: თუკი საპრეზიდენტო არჩევნები მარტოოდენ „ჯ.ი.პ“-ისა და „თეთრი მელას“ დუელად გადაიქცევა, არაა გამორიცხული, რომ „ჯიპმა“ „მელას“ გადაუაროს. ეს თვითონ „მელამაც“ იგრძნო და „მოწმედ“ ანუ დამხმარედ, თავისი „კუდი“, ანუ ვიცე-სპიკერი მოიხმო. სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის შემდეგ ვახტანგ რჩეულიშვილს პატიაშვილის მისამართით „აუგი სიტყვა დასცდა“ — რამაც საზოგადოებაში, ბუნებრივია, არაერთგვაროვანი ასოციაციები აღძრა. (პატიაშვილისა და ხაბეიშვილის ურთიერთდამოკიდებულება ყველასთვის კარგად იყო ცნობილი). მართალია, ვიცესპიკერის „სენსაციური“ გამოსვლა ალბათ მისი საკუთარი ინიციატივა უფრო იყო, მაგრამ ეს რომ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანიის სქემაში ჯდება — ფაქტია.

თუმცა, „ჯიპის“ დუელი „თეთრ მელასთან“ მაინც ნაკლებად მოსალოდნელია. ბ-ნი ჭაბუა ამირეჯიბის ნათქვამისა არ იყოს — „საქართველოში სულ უმაღლესი თანამდებობაა მოდაში“, ამიტომ ბრძოლა პრეზიდენტის ტახტისთვის,როგორც ჩანს „ჯგუფურ ჩხუბს“ დაემსგავსება, სადაც ყველა ყველას ებრძვის. ამ „ტურნირში“ შევარდნაძეც და პატიაშვილიც თითქოს „ყორჩები“ არიან, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ერთიც და მეორეც, როგორც „ესენგეში“ იტყვიან— **одного поля ягода**. ქვეყნის ინტერესების თვალსაზრისით — პატიაშვილი ისევე ვერ იქნება შევარდნაძის ალტერნატივა, როგორც ავტომანქანა „ჯიპი“ — მტაცებელი მელიისა.

მოარული ჭორები იმის შესახებ, რომ თავის კანდიდატურას პრეზიდენტის „ტახტზე“ წამოაყენებენ ასლან აბაშიძე, თეიმურაზ შაშიაშვილი და იგორ გიორგაძე — ჩვენის აზრით ძლიერ გადაჭარბებულია. გიორგაძეც და შაშიაშვილიც საკმაოდ გონიერი ადამიანებია, რათა გააცნობიერონ, რომ დღეს მათ არავითარი შანსი არა აქვთ, სამაგიეროდ თავიანთი ასაკის გამო თავისუფლად შეუძლიათ ხუთი, ან სულაც ათი წლის მერე „სცადონ ბედი“. მანამდე კი პოზიციების განმტკიცებასა და რეიტინგის ამაღლებაზე იზრუნონ. მოსალოდნელია, რომ შაშიაშვილი შევარდნაძეს დაუჭერს მხარს, მითუმეტეს, რომ სამხარეო რწმუნებულთა ინსტიტუტი სახელმწიფოს მეთაურისთვის ამომრჩეველზე ეფექტური ზემოქმედების იარაღია. იგორ გიორგაძე კი — პატიაშვილს, ოღონდ ყოველგვარი „ზედმეტი ხმაურის“ გარეშე. რაც შეეხება ასლან აბაშიძეს, იგი ფრიად პოპულარულია „მშრომელ ხალხში“, როგორც „წესრიგის დამამყარებლის“ იმიჯის მქონე, მფარველებიც გააჩნია მოსკოვში და არც უსახსრობას უჩივის, მაგრამ მისი გავლენა ჩოლოქს აქეთ — შეუდარებლად სუსტია. აბაშიძის დაპირისპირება იგორ გიორგაძესთან და პანტელეიმონის კომპარტიასთან, არ იძლევა შევარდნაძესთან კონკურენციის შესაძლებლობას. ეს ნიშნავს გავლენიან მოკავშირეთა გარეშე ბრძოლაში ჩაბმას,რაც დამარცხების გარანტიაა და თუკი ბ-ნი ასლანი მაინც წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას, ამით ხმები შევარდნაძეს დააკლდება. პატიაშვილის გამარჯვება კი იგივე იოსელიანი, გიორგაძეები და K^0 — ის გამარჯვებაა. ცხადია ასეთი ვარიანტი „აჭარის ლობს“ არ აწყობს, ამიტომ იგი ალბათ შეეცდება „აჭარის ხმები ძვირად გაყიდოს“ და შევარდნაძეს თავისი მხარდაჭერის საფასურად დამატებითი უფლებამოსილებები გამოსტყუოს...

ასევე, საინტერესოა თუ ვის დაუჭერენ მხარს ეროვნული მოძრაობიდან მოსული ოპოზიციური პარტიები, აგრეთვე „ზვიადისტების“ „ლიბერალური“ ფრთა. თავიანთ რიგებში მათ ყველასთვის მისაღები რამდენიმე მნიშვნელოვანი ფიგურა არა ჰყავთ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია კვლავ „ძველი (ეროვნული) გვარდიის“ წარმომადგენელს — ბ-ნ აკაკი ბაქრაძეს მოუხმონ, თუკი ეს უკანასკნელი დათანხმდება. აკაკი ბაქრაძის პიროვნება მეტნაკლებად „ასატანია“ ყოფილი „ანტიზვიდისტური“ ოპოზიციისთვისაც და „მრგვალთა“ ერთი ნაწილისთვისაც. მართალია, წავიდა ის დრო, როცა ბ-ნ აკაკის სახელი ლამის ქუხდა და თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობის გარდა ყველა სხვა თანამდებობაზე უპირებდნენ გამწესებას ეგზალტირებული თაყვანისმცემლები, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებს პოპულარობას მოსახლეობაში. მისი ხანგრძლივი დუმილი და პასიურობა კი დღევანდელ ვითარებაში შესაძლოა პლიუსადაც ჩაეთვალოს, როგორც „სიბინძურეში ჩაურევლობა“.



თუმცა პრეზიდენტის არჩევნებამდე მაინც საკმაო დროა დარჩენილი და არ არის გამორიცხული ძალთა ახალი გადაჯგუფებაც. ასე, რომ გადაუვლის „ჯიპი“ „თეთრ მელას“, თუ ადგილზევე „დაბუქსავდება“ — ჯერ კიდევ საკითხავია. ყოველ შემთხვევაში, „მელაც“ რის მელაა, თუ რაღაც ახალ ხრიკებს არ მიმართა. მოკლედ — ვნახოთ. წინ ნამდვილად საინტერესო მოვლენები გველის, საინტერესო მათთვის, ვისაც პოლიტიკური ცხოვრება აინტერესებს, თორემ უბრალო მოქალაქისთვის (არა „მოქკავშირელისთვის“, რასაკვირველია), აბსოლუტურად სულერთია შევარდნაძე იჯდება „ტახტზე“, პატიაშვილი თუ ცხელხაჭაპურყლაპიაშვილი — მთავარია ზამთარში არ გაიყინოს და შელამებისას ქუჩაში სიარულის არ ეშინოდეს. „მემარჯვენე“, „მემარცხენე“, „სოციალიზმი“, „კაპიტალიზმი“ და სხვა იზმები დღეს აღარაფერს ნიშნავს. გაიმარჯვებს ის, ვისაც ხალხი „წესრიგის დამამყარებლად“ ჩათვლის. ხოლო ვინ იქნება იგი — ამას მომავალი გვიჩვენებს, არცთუ შორეული მომავალი.

ჯ. ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მოქალაქის ფიქრები დიდ მოქალაქეთა ყრილობაზე

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის II ყრილობაზე რომ მივდიოდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი რა სიხარულის მომტანი იქნებოდა ჩემთვის ეს სამი დღე, რომელმაც არც „მსოფლიო შესძრა“ და არც ვაკის რაიონში გამოუწვევია რაიმე ბიძგები. სამაგიეროდ მე მაჩუქა რამდენიმე საინტერესო წუთი და ჩემს ბავშვობასთან შემახვედრა.

ფილარმონიის შენობაში შესვლისთანავე თვალში მეცა მაგიდაზე დახვავებული პატარ-პატარა ალმები, სწორედ ისეთი, “ნეტარხსენებული“ სოციალიზმის მშენებლობის დროს ბედნიერი ბავშვები, ბედნიერი მშობლების კისრებზე შემოსკუპებულნი საზეიმო აღლუმებზე პარტიულ ბოსებს რომ უქნევდნენ. ოღონდ მაშინ ეს ალმები წითელი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ალისფერნი იყვნენ. დღევანდელ პატარებს „დათუნია“ შოკოლადთან ერთად ეს სიამოვნებაც მოაკლდათ. ჰოდა, წარმოიდგინეთ მათი სიხარული, როდესაც ყრილობიდან დაბრუნებული, „ესემკელი“ (როგორც ბატონი ჟვანია იტყვის) მამა, ან „სმაკელი“ დედა სახლში გაურანდავ ფიცარზე დაკრული, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ემბლემიან ლურჯ-ყვითელ ალმებს რომ მოუტანენ და თან მხიარულ საბავშვო სიმღერას შეასწავლიან:

„ამ ჩვენს დროშებს ნესტანი
გუშინ მთელ დღეს ლურსმავდა,
ეს ლამაზი ალმები
ზურამ გაგვიფერადა“...

ალბათ ტექსტის მცირეოდენი შესწორებისათვის არ დამძრახავთ, რომელიც დღევანდელი რეალობიდანაა გამომდინარე. მოგეხსენებათ დრონი მეფობენ და არა მეფენი.

ალბათ, გგონიათ, ჩემი „შეხვედრა წარსულთან“ ალმის თამაშით დამთავრდა? ოღოლო თქვენ, ვერ გამოიცანით! ჩემმა აღტაცებამ აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც სცენაზე ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი ავიდა და მაღალი ტრიბუნიდან სმკ-ის შესაძლო პარტიულ პლატფორმაზე, სოციალიზმზე დაიწყო საუბარი. იმედია ბატონი ვახტანგი უზრდელობაში და ფამილარობაში არ ჩამომართმევს, თუ მას „პან სოციალისტად“ მოვიხსენიებ, რადგან თავის დროზე პოპულარული ტელეგადაცემა „Кабачок 13 стульев“ ალბათ მასაც ჩემსავით მოსწონდა...

ყრილობაზე პან სოციალისტმა თქვა, რომ შევარდნაძის მხარდამჭერებმა რაც შეეძლოთ გააკეთეს, პარტიას კი გარკვეული პლატფორმა უნდა ჰქონდეს, მაგალითად — სოციალისტური, ოღონდ მემარცხენე და აუცილებლად ცენტრისტული. ადრე ჩვენთან სოციალიზმის დამახინჯებული ფორმა იყო, მაშინდელი აშენებული სახლი კაკიშვილმა არ იცის როდის დაინგრევა და როდის დაგეცემა აგური თავში. ეს კი აღარ უთქვამს და ჩემით მივხვდი — ჩვენ ხომ ეხლა დემოკრატიის გზით ახალ სოციალისტურ სამოთხეს ავაშენებთ, იქ ლეღვის ფოთოლიც ბევრი გვექნება და ლამაზ-ლამაზი მკვიდრად ნაშენი სახლებიც. ცურვას თუ კარგად ვისწავლით, მაშინ არც რძის მდინარეში ჩავიხრჩვებით და „კისელის“ ნაპირებზე მზით გარუჯულები არხეინად ვიცხოვრებთ ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან საქართველოში. მოკლედ, კაი ცხოვრება თუ გინდათ, ავაშენოთ სოციალისტური წყობა.

ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს რამეს ვასწავლიდე, მაგრამ „პან სოციალისტს“ მოკრძალებით მინდა შევახსენო:

ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლუციის შედეგად საბჭოთა ხალხმა (ანუ ჩვენ) კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძირითადად ააშენა სოციალიზმი. ხოლო 30-იანი წლების ბოლოდან ჩვენს ხალხს მეტი არაფერი უკეთებია, თუ არა გამარჯვებული სოციალიზმის მშენებლობისა (ჩემი თუ არ გჯერათ, ყოფილ ცკ-ს მდივნებს ჰკითხეთ, მადლობა ღმერთს, შორს არ მოგინდებათ წასვლა). აი, რაც განვითარებულ სოციალიზმს შეეხება, მის შესახებ პან სოციალისტს მე ვერაფერს შევახსენებ, რადგანაც მაშინ იგი თავისი „ცხოვრების უბედნიერეს ხანაში“ იყო, სტუდენტი გახლდათ და თვითონაც კარგად ახსოვს კომუნიზმისკენ სავალი გზები. ეტყობა სწორედ მაშინ გაიკვნესა მის გულში ქნარმა, რომელსაც სოციალისტი ორფეოსი უკრავდა და მომავალი პან სოციალისტი სერიოზულად ჩააფიქრა სოციალიზმის (მემარცხენე-ცენტრისტულმა) იდეებმა. დღეს კი ჩანაფიქრმა ფრთები შეისხა და ყრილობაზე გაცხადდა — სოციალიზმი ხალხის გადარჩენის გზაა (ტაში. გამოცოცხლება დარბაზში).

ისე, მართალია, ჩვენი სოციალისტი დღეს, როდესაც სადღაც აფრიკაში, ტუნისში არსებობს „სოციალისტური დუსთურის პარტია“, რატომ არ უნდა იყოს საქართველოში სოციალისტური პარტია კომუნიზმის ნათელი იდეებით? ვერ ვიმუშავებთ, არ გვიმუშავია თუ რა? ნახეთ ბატონი ჟვანია („ესემკელები“ მოფერებით ჟვანეცკის რომ ეძახიან), როგორი აღფრთოვანებული ჩამოვიდა სოციალისტური ინტერნაციონალის შტაბ-ბინიდან. არა ბატონებო, სად ევროპა და სად ჩვენ...

ისე, ახირებაში ნუ ჩამომართმევთ და სანამ „შვედური მოდელის“ სოციალიზმს ავაშენებთ, იქნებ ჯერ უბრალოდ კაპიტალიზმი აგვეშენებინა? დიდი და განვითარებული არ გვინდა, ჯანდაბას, პატარა იყოს, იმაზეც თანახმა ვარ. თორემ რომ მახსენდება ახლო წარსულში საბჭოთა სოციალისტური კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქე ვიყავი, აღარ მინდა სოციალიზმი, „ფეშქეშ“, ვისაც უნდა, მშვიდობაში მოიხმაროს...

ნათელა დიდებულიძე

მომეცი ხმა და მოგიტეხავ მჭადს, ანუ გზა საქართველოს ბედნიერებისკენ მათი აზრით მოქალაქეთა კავშირზე გადის...

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, 7—9 ივლისს გამართულ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მეორე ყრილობაზე შესაშური წესრიგი სუფევდა. ორგანიზაციული მხარე მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული. ირგვლივ მისაბაძი, ინტელექტუალური სამუშაო განწყობილება იყო, თუმც მიბაძვას სურვილის გარდა ფინანსებიც სჭირდება, რომელთა სიუხვითაც დღეს საქართველოში ბევრი პარტია ვერ დაიკვეხნის.

ყრილობა გაიხსნა ძირითადად „СНГ“-ს წევრი ქვეყნებიდან მოსული მისალმებების კითხვით,რასაც მოწვეული სტუმრების ელეგანტური რევერანსები მოჰყვა. ამის შემდეგ ყრილობამ მუშაობა დაიწყო.

პარტიის გენერალურმა მდივანმა თავის, როგორც ერთმა დელეგატმა აღნიშნა — „ღრმა შინაარსიან გამოსვლაში“ განაცხადა,რომ ეს არ არის რიგითი ყრილობა, არამედ საგანგებო ხასიათის შეკრებაა, რომელზეც უნდა განისაზღვროს, თუ როგორ არის მომზადებული პარტია არჩევნების პროცესის ჩასატარებლად. ეს უკანასკნელი კი შორს სულაც არ არის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 120 დღეა არჩევნებამდე დარჩენილი, ბრძანა ამ ბოლო დროს საგანგებო სესიაზე წუთების და „საგანგებო ყრილობაზე“ დღეების დათვლაზე „გამაცადინებულმა“ გენერალურმა მდივანმა.

ჟვანიამ ყრილობას სრულიად ახალი, პირველადი პარტიული არჩევნების პრინციპი შესთავაზა. ამ პროექტის გამო მოსალოდნელი დაპირისპირება, რომელსაც ვარაუდობდნენ, რომ ზურაბ ჟვანიასა და გია ჟორჟოლიანს შორის გაიმართებოდა,არ შედგა. ყრილობა მეტად მშვიდად, კონსტრუქციულად და როგორც დარბაზში ითქვა, ლირიულად მიმდინარეობდა. ეტყობა პარტიულ ბოსებს შორის წინა ღიით ჩატარებულმა თათბირმა თავისი შედეგი გამოიღო, თუმცა ერთ პატარა ნიუანსს მაინც ჰქონდა ადგილი ჯემალ სვანიძის გამოსვლაში, მან განაცხადა,რომ ბევრ დეპუტატს ვერ წარმოუდგენია „პოსტის“ დატოვება და თუ საარჩევნო სია კაბინეტში დაიწერება, ის იბრძოლებს საკუთარი ადგილისთვის ამ სიაში. თუმცა ამ ფაქტს რეზონანსი არ მოჰყოლია და როგორც უკვე მოგახსენეთ, ყრილობა შესაშური კომუნისტური წესრიგით მიმდინარეობდა.

პირველადი პარტიული არჩევნების სისტემა წარმოადგენს მოქალაქეთა კავშირის სიის ფორმირების პრინციპს. სიის თითოეული წევრი უნდა წარმოადგენდეს სმკ წევრთა მოზრდილ ჯგუფს, ან მოქ. კავშირთან ალიანსში მყოფ გაერთიანებას. პირველადი არჩევნები გაიმართება ორი თვით ადრე, ვიდრე ძირითადი არჩევნები და იგი ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად აღიქმება. ორგანიზაცია,რომელიც თავის წევრების რაოდენობას ათასზე მეტი კაცით განსაზღვრავს, ალბად გაუჭირდება სიების უმტკივნეულოდ შედგენა. ყრილობაზე გამოთქმული ეჭვი იმის შესახებ,რომ ხომ არ არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირში ხელოვნურად შექმნილი ლიდერები, რომელთაც ხალხის ნდობა არ გააჩნიათ და არჩევნებში ვერ გაიმარჯვებენ, შეიძლება გამართლდეს. თუმცა ჟვანიას განცხადება იმის შესახებ, რომ პარტია არ არის დამოკიდებული ლიდერზე და ლიდერის შეცვლა არ გამოიწვევს პარტიის დაშლას,მეტად მნიშვნელოვანია, თუკი მას რეალური საფუძველი აქვს და არ არის წინა საარჩევნო პოპულისტური გამოსვლა. ალბათ დამეთანხმებით, საქართველოში არსებული ზოგიერთი პარტია დღეს ამის განცხადებას დელიკატურად აარიდებდა თავს.

ყრილობაზე გამოსულ ორატორთა აზრების გადმოცემას აქ არ მოვყვებით. იმას კი აღვნიშნავთ, რომ ძირითადად ეს იყო „მაამებლური პოზიცია“ ედუარდ შევარდნაძის მიმართ, რაიმე ახალი და განსხვავებული ნამდვილად არ თქმულა. შეიძლება ამიტომაც ედუარდ შევარდნაძემ თავის გამოსვლაში საქართველოს მოქალაქეთა კავშირს თავისუფალ, ლაღად მოაზროვნე“თა კავშირად ჩამოყალიბება უსურვა.

რაც შეეხება საქართველოს უპირველეს პრობლემას — აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნებას— საქმე პათეტიკური შეძახილების: „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მესამე ყრილობა სოხუმში უნდა ჩატარდეს“, „თუ საჭიროა პრობლემა იარაღით გადაწყდება“-ს იქით არ წასულა. ვნებები ბობოქრობდა შიდა ქართლიდან ადგილმონაცვლებული მოსახლეობის გარშემოც. ეს პრობლემა ამ ბოლო დროს თითქოს ჩრდილში მოექცა, არადა ის ისევე მტკივნეულია, როგორც აფხაზეთი. დელეგატებმა მოისმინეს სმკ-ის ეკონომიკური და სოციალური პროგრამა. მე ნამდვილად გამიჭირდება ექსპერტობა დავიჩემო ამ საკითხებზე, მაგრამ ის, რომ „1996 წელი გახდება საქართველოში ეკონომიკური კრიზისის საბოლოო დაძლევის, წარმოების გამოცოცხლების და ეკონომიკური აღმავლობის დაწყების წლად“ — ცოტა არ იყოს უტოპიურად მიმაჩნია, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ „სოციალური კრიზისის დაძლევა, მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმება და სიღატაკის ლიკვიდაცია არის მოქალაქეთა კავშირის ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამის ძირითადი და მთავარი ორიენტირი“, გარდა არასასიამოვნო მოგონებისა „სოციალისტური ხუთწლედების“ შესახებ არავითარ გრძნობას არ იწვევს და ალბათ წინასაარჩევნო კამპანიაში ხმების დაგროვებას ისახავს მიზანად. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი,რომ მოქალაქეთა კავშირი ხელისუფლებაში მყოფი პარტიაა და ცდილობს შეინარჩუნოს პოზიციები. ასე რომ ჩვენი ხმის სანაცვლოდ ჩვენ ძალიან ლამაზ დანაპირებებს მივიღებთ, მაგრამ რამდენად რეალურს, ამას დრო გვიჩვენებს.

ლელა ჯანჯალაშვილი

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲓᲐᲜ

ᲑᲐᲜᲙ „ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲘᲡ“ ᲛᲔᲐᲜᲐᲑᲠᲔᲔᲑᲡ!

ᲐᲚᲑᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓᲐᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲡᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓᲐᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲘᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲣ ᲠᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲕᲐᲙᲣᲣᲛᲨᲘ ᲕᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲬᲧᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲛᲔ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔ ᲛᲝᲛᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ (�გᲐᲖᲔᲗᲘ „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ; №5/11928/ Ა�პᲠᲘᲚᲘ 1995 Წ.). ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲣᲬᲧᲔᲑᲓᲘᲗ,ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲨᲔᲛᲡᲣᲑᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲩᲔᲛᲓᲐᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲣᲠᲣ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲧᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲔᲐᲜᲐᲑᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ. ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲔᲣᲭᲘᲠᲐᲗ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲝᲓᲐ ᲝᲛᲘᲡᲙᲕᲔᲗᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ — ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲘᲗ (ᲠᲐᲪ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ), ᲠᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲝᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲛᲬᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲓᲐᲡᲬᲔᲕᲓᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲣᲙᲐᲔᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲧᲝᲤᲜᲘᲗ (ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐᲛᲓᲔ) ᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ, ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲓᲘ ᲒᲐᲕᲔᲕᲨᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲐᲛ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲔᲕᲐᲚᲔᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲦᲔ-ᲓᲦᲔᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲐᲓᲐᲗ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲤᲣᲫᲓᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲘᲥ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲒᲐᲫᲙᲘᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲐᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲗᲐᲕᲐᲡᲣᲚᲘ. ᲐᲠᲐᲠᲐᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲰᲧᲝᲚᲘᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲘᲐᲜᲘᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ, �თᲣ ᲕᲘᲜ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲐᲕᲐ ᲛᲔᲐᲜᲐᲑᲠᲔᲗᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲐᲨᲘ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲒᲒᲕᲔᲪᲔᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲝᲡ ᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲬᲕᲐᲕᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ.

ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲩᲔᲛᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲣᲬᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲣᲙᲐᲔᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲧᲝᲤᲜᲘᲗ (ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐᲛᲓᲔ) ᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ, ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲓᲘ ᲒᲐᲕᲔᲕᲨᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲐᲛ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲔᲕᲐᲚᲔᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲦᲔ-ᲓᲦᲔᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲐᲓᲐᲗ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲤᲣᲫᲓᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲘᲥ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲒᲐᲫᲙᲘᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲐᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲗᲐᲕᲐᲡᲣᲚᲘ. ᲐᲠᲐᲠᲐᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲘᲡᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲣᲨᲘᲜᲝᲓᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲐᲜᲐᲑᲠᲔᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲚᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲚᲐᲜᲖᲔ ᲬᲧᲐᲛᲝᲕᲘᲬᲘᲐ ᲛᲔᲡᲡᲐᲛᲔ ᲫᲚᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲫᲦᲕᲠᲘᲔ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲓᲐᲰᲔᲠᲐ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐᲗ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲜ — ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲣᲐᲠᲛᲔᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲢᲧᲣᲔᲑᲘᲗ, ᲕᲘᲗᲝᲛᲓᲐ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲡᲓᲘᲗ ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲰᲙᲠᲐᲜ ᲮᲔᲚᲘ.

ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲕᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲗᲝ ᲛᲔᲚᲗᲐᲣᲠᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲝᲚᲘᲗᲘ. **ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲭᲠᲔᲡ, ᲮᲔᲚᲗ ᲘᲒᲓᲔᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘ, ᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲔᲥᲣᲐᲜᲐᲗ, ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ „ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ“, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲔᲜ — ᲐᲘ ᲜᲐᲮᲔᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲗᲘᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ.** ᲐᲠᲐᲓᲐ ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲡ, �თᲣ ᲠᲐᲖᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲘᲥ ᲩᲐᲡᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲘᲡᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲣᲨᲘᲜᲝᲓᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲐᲜᲐᲑᲠᲔᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲚᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲙᲣᲠᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ“ (Ჯ. ᲤᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘ).

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲯᲐᲛᲚᲔᲗ!

ᲣᲛᲬᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡᲚᲐᲓ ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲖᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ, ᲘᲡᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ �მᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲕᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲐᲜᲐᲑᲠᲔᲗᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔ ᲫᲚᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ

კურიოზი თუ აფიორა?!

გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ბატონ ნ. გრიგალაშვილს

ბატონო რედაქტორო!

იმ ფაქტმა, რომ თქვენი პარტია და გაზეთი ამ ბოლო დროს აქტიურად და თანმიმდევრულად მოღვაწეობენ გაძარცული მეანაბრეების ჭეშმარიტი ინტერესების დასაცავად, მიბიძგა მოგმართოთ თქვენ, რათა გთხოვოთ დაგვეხმაროთ საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ მეანაბრეთა კიდევ ერთი ჯგუფის ბედზე, რომელიც ფაქტიურად არაფრით განსხვავდება იმ 30 „ბანკის“ მეანაბრეთა ბედისგან,რომლებიც ამაოდ მოითხოვენ თავისი ფულის დაბრუნებას.

საქმე ეხება იმ მეანაბრეებს,რომლებსაც თავისი დანაზოგები „ექსიმბანკის“ ანგარიშებზე აქვთ და რომლებსაც ბანკი უარს ეუბნება ამ თანხების გაცემაზე.

მოგეხსენებათ ალბათ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო 15-20 წლის განმავლობაში ათასობით საბჭოთა სპეციალისტი, და მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც მივლინებული იყვნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნებში სამუშაოდ. იმის მიუხედავად,რომ მათი გასამრჯელოს სამ მეოთხედს სახელმწიფო თავის ჯიბეში იტოვებდა, დარჩენილი ერთი მეოთხედიც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა იმ დროისთვის და რამდენჯერმე აღემატებოდა შინ დარჩენილი სპეციალისტების საშუალო ხელფასს. იმ დროს საზღვარგარეთ მუშაობა ფაქტიურად ერთადერთი საშუალება იყო წესიერი, პატიოსანი და კანონიერი გზით დაგვეგროვებინა ოჯახის წელგამართულად შესანახი თანხა. ბმის სანაცვლოდ ბევრმა ჩვენგანმა იქ დატოვა თავისი ჯანმრთელობა და საუკეთესო წლები, ვინაიდან მუშაობა ძალზე რთულ პირობებში გვიხდებოდა.

ყველა საზღვარგარეთ მომუშავეთა ხელფასი ვალუტით ირიცხებოდა მოსკოვში მყოფ „ვნეშეკონომბანკში“, რომელმაც შემდგომში თავისი ფილიალები გახსნა რეგიონებში, მათ შორის თბილისშიც. ეს ფილიალი შემდეგ გარდაიქმნა „ექიმბანკად“. ბუნებრივია, საქართველოს მოქალაქეებმა ჩვენი სავალუტო ანგარიშები გადმოვიტანეთ ამ ფილიალში და 1992 წლამდე მეტ-ნაკლებად გვქონდა საშუალება საჭიროებისამებრ გამოგვეყენებინა ჩვენი დანაზოგები. „მეტნაკლებად“ იმიტომ ვამბობ, რომ მაშინაც საკმაოდ ძნელი იყო საკუთარი ფულის გამოტანა. ჯერ ერთი, უბრალო მოქალაქეთათვის ვალუტის გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო ნებადართული, თუ საზღვარგარეთ მიემგზავრებოდი და ამისათვის ყველა საბუთი გქონდა გაფორმებული. მეორეც, ბანკი ამ სახსრებს არავითარ პროცენტს არ არიცხავდა, თუმცა ბრუნვაში ჰქონდა ისინი და მოგებასაც ნახულობდა, პირიქით, ფულის გაცემისას არნახულად მაღალ გასამრჯელოს — 7 პროცენტს იტოვებდა მომსახურებისათვის. ამის გამო მეანაბრეები იძულებულნი იყვნენ ხელი არ ეხლოთ ანაბრებისთვის უკეთესი დროის მოლოდინში. მოკლედ, უკვე მაშინ ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მეანაბრეს თავისი კუთვნილი ფული ვერ გაეტანა ბანკიდან.

მაგრამ 1992 წლიდან ეს შეზღუდული შესაძლებლობაც მოისპო და მეანაბრეებს საერთოდ უარი უთხრეს ფულის გაცემაზე იმ მოტივით, რომ 1992 წელს რუსეთმა გაყინა ჩვენი ანგარიშები, ხოლო „ექსიმბანკს“ არ გააჩნდა სავალუტო სახსრები, რომ გაესტუმრებინა თავისი მეანაბრეები. ჯერ ერთი, ამ თანხებზე რუსეთთან ხელშეკრულების თანახმად, პასუხისმგებლობა აიღო საქართველოს მთავრობამ. რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეებს, 1992 წელს პრეზიდენტმა ელცინმა გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომელშიც მითითებულია, რომ „ვნეშეკონომბანკში“ პირადი ანგარიშების მფლობელ მოქალაქეებს შეუფერხებლად, პ ირველ მოთხოვნისთანავე უნდა გაეცეთ მათი კუთვნილი თანხები, ჩვენთან კი ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

1993 წლის დამლევს „ექსიმბანკმა“ გასცა თავის მეანაბრეებზე მცირეოდენი თანხები.

ძნელია დაიჯერო, რომ „ექსიმბანკს“ არა აქვს შესაძლებლობა გაისტუმროს მეანაბრეები, როგორც ამას მისი ხელმძღვანელები ამტკიცებენ, ვინაიდან ცნობილია, რომ საკონტროლო პალატის მიერ შარშან ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ „ექსიმბანკს“ გაცემული აქვს რამდენიმე მილიონი დოლარის კრედიტები, რაზედაც პრესაშიც იყო გამოქვეყნებული ცნობები, და დღესაც ბრუნვაში აქვს მილიონობით დოლარი. ამას გარდა, სულ ცოტა ხნის წინ „ექსიმბანკის“ ხელმძღვანელობამ ზარზეიმით აღნიშნა თავისი საწესდებო კაპიტალის 2 მილიონამდე გაზრდა, ხოლო შემდეგ გაერთიანდა ისეთ უმსხვილეს სახელმწიფო ბანკებთან, როგორებიცაა „ახალი ქართული ბანკი“ და „ინდუსტრიაბანკი“. ისე რომ უსახსრობას „ექსიმბანკი“ ნამდვილად არ უნდა უჩიოდეს.

ერთ-ერთი შეხვედრისას ბანკის ხელმძღვანელობასთან ჩვენი ანაბრების გაყინვის მიზეზი აგვიხსნეს იმით, რომ სსრ კავშირიდან გამოყოფის და ვალების განაწილების დროს სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ვალების გაყოფის „ხულოვან ვარიანტს“, ესე იგი ორთავე მხარე ფაქტიურად შეთანხმდა, რომ უარს ამბობენ ურთიერთვალების მოთხოვნაზე. მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო მოქალაქეთა მიმართ თავისი ვალების გასტუმრება. და თუ „გაკოტრებული“ ბანკების შესახებ მას ფორმალურად მაინცაქვს საბაბი თქვას, რომ სახელმწიფო პასუხს არ აგებს კერძო ბანკების ვალებზე, თავის საკუთარ, სახელმწიფო ბანკის ვალზე ამას ნამდვილად ვერ იტყვის.

უკანასკნელ ხანს „ექსიმბანკის“ ხელმძღვანელობას ეტყობა სურს მთლად „ხელი დაიბანოს“ ამ საქმიდან და თავის მეანაბრეებს ფულის მოთხოვნაზე პასუხობს, რომ საკითხი გადასაწყვეტად პარლამენტს აქვს გადაცემული. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ დაგვეხმაროთ, და თქვენი პარტიის წარმომადგენლებს პარლამენტში სთხოვოთ გვაცნობოს თქვენი გაზეთის საშუალებით ან სხვა გზით, მართლაა ეს საკითხი გადაცემული კომისიის განსახილველად თუ არა, რა მდგომარეობაშია მისი განხილვა და საერთოდ, რამდენად ეტევა სამართლებრივ ნორმებში სახელმწიფო ორგანიზაციის — „ექსიმბანკის“ მოქმედება თავისი მეანაბრეების მიმართ. (აქ შეიძლება ვიფიქროთ, საჭიროა კი ამ არჩევნებში მხარი დაუჭიროთ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ჩვენს ინტერესებს არ დაიცავს?

მეანაბრეთა შეხვედრის ადგილად შეიძლება დავთქვათ ა. გრიბოედოვის ქუჩა, „ექსიმბანკის“ მახლობლად, შეხვედრის დრო — ყოველი ხუთშაბათი, დღის 3 საათი.

პატივისცემით
გ. ბუდუკაძე

უსაზღვროებე უსინდისობისა

პატივცემულო რედაქცია,

მოგმართავთ აბუჩად აგდებული და მოტყუებული მოსახლეობის სახელით.

თქვენი გაზეთის ა.წ. 21-ე ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „პურის საცალო ფასების შესახებ“, ხელმოწერილი პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ო. ფაცაციას მიერ 1995 წლის 28 ივნისს, რომლის პირველი პუნქტის თანახმად: „საქ. რესპუბლიკაში 1995 წლის პირველი ივლისიდან საქ. რესპუბლიკის პურპროდუქტების კორპორაციისა და ცეკავშირის სისტემის მიერ ნორმირებული წესით სარეალიზაციო ერთი კილოგრამი პურის საშუალო საცალო ფასი განისაზღვროს 300 (სამასი) ათასი კუპონის ოდენობით“.

ამასთან დაკავშირებით თავის რადიოინტერვიუში პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის (?!) მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის თავმჯდომარემ ბ-ნმა ა. ბურჯანაძემ მოგვახსენა, რომ პურის მრეწველობას 1 კგ. პურის გამოცხობა უჯდება 420 ათასი კუპონი, მაგრამ პური, რომლის 1 კგ-ის ფასია 280 ათასი კუპონი, მოსახლეობას მიეყიდება 300 ათას კუპონად, დანარჩენ 120 ათას კუპონს ბიუჯეტიდან დაგვიფარავენო. ე.ი. პურის ფასს მოემატება 20 ათასი კუპონი ანუ 7%-ო (ეს ციფრები ბ-ნმა ბურჯანაძემ გარკვევით დაასახელა). სახელმწიფოს მეთაურმაც თავის სატელევიზიო გამოსვლაში დაადასტურა, რომ მართალია პურის ფასი იზრდება 7%-ით, მაგრამ სამაგიეროდ ხელფასები და პენსიები გაიზრდება 25%-ით.

პირველ ივლისს მაღაზიაში მისვლისას დაგვხვდა სიურპრიზი: 1 ცალი 900-გრამიანი პური, რომელიც ღირდა 230 ათასი კუპონი, გახდა 270 ათასი კუპონი, ე.ი. პურის ფასებმა მოიმატა შესაბამისად 14,8% და 17%-ით.

გარდა ამისა, 1994 წლის თებერვლიდან დაწყებული, ბ-ნი ბურჯანაძე გვპირდებოდა თბილისელ მოსახლეობას, რომ ჩვენი წილი 300 გრამი პურის გარდა კუთვნილ პურის ფქვილს აუცილებლად დაგვირიგებდა. ერთ-ერთ რადიოინტერვიუში მან გულახდილად მოგვახსენა: „როცა სახელმწიფოს მეთაურმა მკითხა, ხომ არ დაგავიწყდა,რომ თბილისელი მოსახლეობის ვალი გაქვსო, მე ვუპასუხე — როგორ დამავიწყდებოდა, აი, ახლო მომავალში, სექტემბრისთვის გაჩნდება შესაძლებლობა და ვალს აუცილებლად გავისტუმრებო“. სექტემბერიც გავიდა, 1994 წელიც გასრულდა, მაგრამ ბ-ნ ა. ბურჯანაძეს მოსახლეობის ვალი არ გაუსტუმრებია, საახალწლოდ დაპირებული ფქვილი კი ჩვენს მაღაზიაში გაზაფხულზე შემოიტანეს, მაგრამ იმდენად უხარისხო, რომ მოსახლეობის უმეტესობამ იგი არ შეიძინა.

აი, ასე გვატყუებს ბ-ნი ა. ბურჯანაძე ჩვენც, სახელმწიფოს მეთაურსაც. ბ-ნი სახელმწიფოს მეთაურიც იგივეს იმეორებს, ენდობა რა საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით თავის მიერ დანიშნულ მთავრობას. ხალხი კი რჩება აბუჩად აგდებული. ჩვენ აღშფოთება გამოვხატეთ კონტროლის პალატაში, რომელიც ჩვეული გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა მოსახლეობის გასაჭირს და საკითხი დააყენა მინისტრთა კაბინეტში. შედეგად ის მივიღეთ, რომ 6 ივლისიდან 900-გრამიანი პურის ფასი, რომელიც უკვე ღირდა 310 ათასი კუპონი, გახდა 270 ათასი, მხოლოდ... წონით 800 გრამი. მოგეხსენებათ, პურის მაღაზიებში სასწორით არ ვაჭრობენ და პურის გამყიდველი იძულებულია 800-გრამიანი პური თვალზომით გაყოს 600 და 300 (?!) გრამად. ესეც კიდევ ერთი მაგალითი მოსახლეობის აბუჩად აგდებისა.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 პუნქტის ბოლო აბზაცში ნათქვამია, რომ „საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა, სახელმწიფო-კომერციულმა ბანკებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მოსახლეობაზე ხელფასების, პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარებების წინასწარი საავანსო გაცემა არაუგვიანეს 1995 წლის 30 ივნისისა“ — სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ჯერ ერთი, დადგენილება ხელმოწერილია 28 ივნისსა და 30 ივნისს ხელფასებისა და პენსიების გაცემა ტექნიკურად ვერ მოესწრებოდა და ვერც მოესწრო, მეორეც, მუშა-მოსამსახურეებს და პენსიონერებს თვეობით მისაღები აქვთ თავისი კუთვნილი თანხები და როგორ ვირწმუნოთ, რომ ჩვენზე „მზრუნველი“ მთავრობა ასეთი ოპერატიულობით გაატარებს ამ დადგენილებას. კიდევ ერთი მაგალითი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის აბუჩად აგდებისა.

ჩვენმა მინისტრთა კაბინეტმა დაახლოებით იმავე დღეებში მიიღო დადგენილება დაბალი ნომინალის კუპონების (1-დან 30 ათასის ჩათვლით) კუპიურების ბრუნვიდან ამოღების შესახებ. ვეკითხებით ამ ბრძნული გადაწყვეტილების ავტორებს — პირველი აგვისტოდან როგორ მოვახერხოთ ანგარიშსწორება პურის მაღაზიებში, როცა დაბალი ნომინალის კუპიურები მთლიანად ამოღებული იქნება ბრუნვიდან?

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა:

1. ჩვენი მთავრობა და ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა იმდენად უზრუნველყოფილია, რომ ნორმირებული პურით არ იკვებება და არც ეროვნული ვალუტის ნიშნებით სარგებლობს.

2. მას საერთოდ არ ანაღვლებს მოსახლეობის დიდი ნაწილის ბედი, რომლის ხელფასი და პენსია თვეში ათი ცალი პურის და ცივი წყლის საფასურის გადახდას ყოფნის.

ამ ბოლო დროს თითქოს დაიწყო „ზრუნვა“ მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც კერძო ბანკების მიერ იქნა გაძარცული, მაგრამ აღმოუჩენს კი ქმედით დახმარებას მოსახლეობას ისეთი მთავრობა, რომლის დანაშაულებრივი უმოქმედობით მიეცა კერძო ბანკებს ძარცვის საშუალება; ისეთი მთავრობა, რომელმაც თვითონ უფრო უმოწყალოდ გაძარცვა თითქმის მთელი მოსახლეობა, გაუკუპონა რა შემნახველ სალაროებში შავი დღისთვის გადანახული ფული, რომელიც ტრამვაის ერთი ბილეთის შეძენასაც აღარ ეყოფა?

ჩვენი გატანჯული მოსახლეობა, რომელსაც არ სურს დესტაბილიზაცია, ბევრს ითმენს, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი და იგი თავის ნებას გამოხატავს მომავალ არჩევნებში, როცა, რასაკვირველია, მხარს აღარ დაუჭერს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ასეთ მთავრობას ნიშნავს.

პატივისცემით
მზია ძოწიანა

როგორი ამინდი იქნება ხვალ, ანუ არა მხოლოდ ენერგეტიკის პრობლემებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 ივლისს, საქართველოს პარლამენტის ოვალურ დარბაზში პრესკონფერენცია გამართა პარლამენტარმა დავით პაიჭაძემ. თემა — „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ბლოკის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული პერიპეტიები.

როგორც ვიცით „თბილსრესი“ აღმოსავლეთ საქართველოსთვის, მათ შორის თბილისისთვის ელექტროენერგიის მიწოდების მთავარი წყაროა. თუკი ეს ოხერი მე-9 და მე-10 ამჟამად მოშლილი ბლოკები არ ამუშავდა— შარშანდელი ზამთარი სანატრელი გაგვიხდება. სახელმწიფოს საკუთარი სახსრებით რემონტის ჩატარება არ შეუძლია — ფული არ ჰყოფნის. საბედნიეროდ „გერმანელმა ძმებმა“ გამოგვიწოდეს დახმარების ხელი. გერმანიის სახელმწიფო ბანკმა KFB-მ ჯერ გამოჰყო შეღავათიანი კრედიტი „საქენერგოსთვის“.მერმე მოეწყო ტენდერი, რომელშიაც მონაწილეობდა სამი ფირმა, „ჰარტმანი და ბრაუნი“, „სიმენსი“ და ABB. ბ-ნ პაიჭაძის თქმით, ABB–ს პროექტი ყველაზე იაფი და ყველაზე ხელსაყრელი იყო ქართული მხარისთვის,მაგრამ რად გინდა — „საქენერგოს“ წარმომადგენელი, ბ-ნი გოგი მაყაშვილი ჩასულა გერმანიაში, პროექტთა ავ-კარგის გარჩევით თავი არ შეუწუხებია და ყველაფერი გერმანულ ბანკს გადააბარა —“ ბუს დიდი თავი აქვს და იმან იტიროს“ — პრინციპით. ბანკიც ამდგარა და „სიმენსის“ უფრო ძვირადღირებული პროექტი აურჩევია. ვერც გაამტყუნებ — გამოყოფილ თანხას ათვისება უნდა. ბ-ნი პაიჭაძე თვლის, რომ „საქენერგოს“ წარმომადგენელი უპასუხისმგებლოდ მოიქცა და ზედმეტი ვალი დაადო სახელმწიფოს.

ჟურნალისტები, ბუნებრივია, დაინტერესდნენ, თუ რა ეშველება ამ საქმეს. როგორც გაირკვა — ჯერჯერობით ყველაფერი მთლად გარკვეული არ არის,. და არც.ის არავინ იცის, საბოლოოდ რომელი პროექტით დაიწყება სამუშაოები,ანკი თუ დაიწყება საერთოდ. არადა 1 ნოემბრისთვის (ყველა პროექტში სარემონტო სამუშაოების დასრულება ამ რიცხვისთვისაა ნაგულისხმევი) „თბილსრესის“ მე-9 ბლოკის ამუშავება ხალხსაც წაადგებოდა და ხელისუფლებასაც პლუსში ჩაეთვლებოდა. ისე ხალხისთვის სულერთია, „კაეფბე, აბებე თუ კაგებე“ გაარემონტებს „თბილსრესს“, მთავარია დენი იყოს... თან მსგავსი ტიპის გაუგებრობა-უპასუხისმგებლობანი ჩვენი სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან ისე ხშირია, ყოველ მათგანზე რომ პრეს-კონფერენცია ჩატარდეს — ამ საუკუნეში ვერ დავამთავრებთ. მაგრამ ამ კონკრეტული შემთხვევის მიღმა ერთი ფრიად საგულისხმო მომენტი ძევს: როგორც ცნობილია არსებობს პროექტი „ესენგეს“ სივრცეში ერთიანი ენერგოსისტემის შექმნის (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა „რეანიმაციის“) თაობაზე. ისიც ცნობილია,რომ ჩვენი ენერგეტიკოსების მნიშვნელოვან ნაწილს ერთი სული აქვთ „ძველი კაი დრო“ დაბრუნდეს, რაც მატერიალური კეთილდღეობის ასოციაციებსაც აღძრავს. მათ „შეჩვეული ლხინი“ ურჩევნიათ შეუჩვეველს და გერმანული კაპიტალის ექსპანსია დიდად გულზე არც ეხატებათ.ბუნებრივია ეს ხალხი ხელსაყრელი გერმანული პროექტისთვის თავს არ მოიკლავს და თუ საერთოდ არაფერი გაკეთდება — არც ის ენაღვლებათ — ბოლო-ბოლო ხელისუფლება იძულებული გახდება კვლავ რუსეთს მიმართოს დასახმარებლად...

ამასთან დაკავშირებით ერთი ჩემი მეგობრის ნაამბობი მაგონდება: თბილისში შემოდგომის მიწურულია. ცივა, ყინავს, ქარბუქია, არც შუქია და არც გაზი. ამ დროს მხვდება ერთი მეზობელი კაცი და სერიოზულად (არა ხუმრობით!) მეუბნება — რა კარგი ამინდიაო. მე ვუთხარი; შე კაი დედამამისშვილო, ნოდარ დუმბაძის ზურიკელასი არ იყოს — თუკი ცივა, ქარია, ყინვაა, ქვეყანა თუ ინგრევა — შენ რა გიხარია შე აბდალაო. ის კიდევ მპასუხობს — გუდაურის ტრასაზე ვმუშაობ,. მანქანები ამყავს ბუქსირით მოლიპულ გზაზე, პურს მაგით ვჭამ და ოჯახს მაგით ვარჩენ. ჰოდა თუკი მზე და სითბოა — მე უსაქმოდ ვზივარ და კაპიკს ვერ ვიღებ. ახლა კი გზები მოიყინება, მანქანები გაიჭედება და საქმე გამიჩნდებაო... აი, ასე განსაზღვრავს ხშირად ადამიანის პროფესიული, გინა ფინანსური ინტერესები მის შეხედულებებს, გნებავთ პოლიტიკურს, გნებავთ, ყოფითს. ჰოდა,სანამ ჩვენი ხელისუფლება მუდამ ძველი „ზასტოური“ ყოფის ნოსტალგიით იქნება შეპყრობილი და „ესენგეს“ მოიმედე-სამთავრობო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანებშიც მუდამ იცოცხლებს იმის იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ბედნიერი“ წარსული მობრუნდება, კვლავ დიდი გასაჭანი მიეცემათ მუქთამჭამელებს და არანაირი გერმანია-ამერიკა-იაპონია ჩვენ არ დაგვჭირდება. ეშმაკსაც წაუღია ყველა. ოღონდ რუსეთი გვყავდეს გვერდით და...

ზამთარი კი მოდის... როგორც ჩანს კვლავ ღმერთის იმედზე უნდა ვიყოთ — იქნება თბილი ზამთარი გვიწყალობოს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ცოცხლები ვართ და არ გავყინულვართ. რას იზამ — კაცი ყველაფერს ეჩვევა.

მ. კალმახიძე



თარაზულად: 3. მიმართულება ხელოვნებაში. 6. ოიდიპოსისა და იოკასტეს ქალიშვილი, ან სოფოკლეს ტრაგედია. 9. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 11. დროშა 13. მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოები. 14. სამხრეთ ამერიკის ინდოელთა ნავი ან სპორტული ნავი. 15. უმაღლესი რანგის სამღვდელოების წარმომადგენელთა საერთო სახელი. 16. უმაღლესი თანამდებობის პირი ძვ. საბერძნეთში. 17 შექსპირის ტრაგედია. 20. გამოჩენილი სომეხი ფერმწერი. 22. ილტოსა და ალაზნის გამყოფი ქედი. 24.ლითონზე გამოსახული სურათის ან ნახაზის პირი (იყენებენ საბეჭდად). 25. ოსური ცეკვა. 27. ძველებური ესპანური ვერცხლის ფული. 28. ავტომანქანების ფირმა გერმანიაში. 29. ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებული. 30. გამოცალკევება, გამიჯვნა.

ზვეულად: 1. ადამიანი, რომელიც მფარველობს ხელოვნების და მეცნიერების წარმომადგენელთ. 2. დიდი, ზოგჯერ მხატვრულად გაფორმებული ასო აბზაცის დასაწყისში. 4.კულული. 5. გამოჩენილი რუსი კინომსახიობი, კომიკოსი. 6. თხა, რომელიც პატარა ზევსს აწოვებდა ძუძუს. 7. საკოსტუმე ქსოვილი. 8. შენობა, სადაც ხდება დრამატიული ნაწარმოების განხორციელება. 10. წყლის დიდი სივრცე. 12. კრებული, სადაც მოთავსებულია სხვადასხვა ავტორების რჩეული ნაწარმოებები. 18. მე-19 ს. გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი. 19. დასასრული. 20. მე-19 ს. დიდი ფრანგი პროზაიკოსი. 21. დედალოსის ვაჟი. 22. ვულკანური მინა. 23. კლიტემნესტრესა და აგამემნონის ქალიშვილი. 26. მცენარე, რომელიც ჰყვავის მხოლოდ ერთხელ. 27. ხმის უსადენო გადაცემა.

პარასკევს, 14 ივლისს, 2 საათზე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია მართავს პრესკონფერენციას პარტიის II ყრილობის შედეგების შესახებ.

● განცხადებები ● რეკლამა ● განცხადებები ●

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან არსებული თბილისის ფსიქოლოგიის სასწავლო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1995—96 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების ქართული და რუსული განყოფილებების სამედიცინო ფსიქოლოგიის სპეციალობაზე

ინსტიტუტი ამზადებს პრაქტიკოს ფსიქოლოგებს, ფსიქოთერაპევტებს, ფსიქოდიაგნოსტიკის სპეციალისტებს მოზრდილთა და ბავშვთა სტაციონარების, პოლიკლინიკების, აღდგენითი სარეაბილიტაციო და საკონსულტაციო ცენტრებისათვის.

სწავლება წარიმართება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის შეუზღუდავად. სწავლა 5 წლიანია.

აბიტურიენტი რექტორის სახელზე შემოიტანს განცხადებას და შემდეგ საბუთებს: ა) საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), ბ) სამედიცინო ცნობა (ფორმა №286) გ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; დ) 6 ცალი ფოტოსურათი (3X4) პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

სტუდენტთა ჩარიცხვა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

საბუთების მიღება, ტესტირება, გასაუბრება და ჩარიცხვა იწარმოებს 2 ეტაპად:

I ეტაპი — 20 ივლისიდან 5 აგვისტომდე

II ეტაპი — 14 აგვისტოდან 26 აგვისტომდე

ინსტიტუტში სწავლა სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. ყოველი ახალი სასწავლო წლის გადასახადი განისაზღვრება ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით. საბუთების შემოტანის დროს აბიტურიენტი საორგანიზაციო ხარჯებისათვის იხდის 10 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურ ფულად ერთეულს.

ღია კარის დღე ჩატარდება 14 ივლისს და 12 აგვისტოს 11 საათზე.

ინსტიტუტის მისამართია: პაოლო იაშვილის (ყოფილი ჯაფარიძის) ქ. №22, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შენობა.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

ტელ. 93-24-54, 99—89—41, 99—53-75

გელოდებათ «ბაყბაყდევი»

ნუ შეშინდებით, „ბაყბაყდევი“ ის დევი არ გეგონოთ, ზღაპრის გმირებს რომ შესაჭმელად დასდევს, პირიქით იქ შეიძლება მშვენივრად მოილხინოთ და თავად მიირთვათ რაც სულს და გულს გაუხარდება.

ბაყბაყდევი დუქანია, ყველაზე უცნაური სახელწოდების და ყველაზე მიმზიდველი ასორტიმენტის მთელს დუნიაზე. მობრძანდით და თავად დარწმუნდებით აგერ, აქვე, თბილისის ცენტრში, მ. კოსტავას ქუჩის 37-ე ნომერში (კინოთეატრ ამირანის წინ)

მწვადი და ქაბაბი, სოკო და ოსტრი, კუპატი და ხუთხის მწვადი შამფურზე, შემწვარი სულგუნი, შემწვარი ტვინი კარტოფილით, სათალი, ჩამოსასხმელი ლუდი „პილზენი“, ღვინო „სამება“, არაყის დიდი ასორტიმენტი, კეთილი გული და „ჩოტკის“ პატიოსნად ჩამოყრა...

გელოდებათ «ბაყბაყდევი»

იყიდება იშვიათი სააგარაკო სამ სართულიანი სახლი სოფელ კოტორაანთკართან, თბილისიდან 28 კმ-ზე, 600 კვ.მ. ეზო შემოღობილია კარგი ლითონის ღობით, სამივე სართულზეა სანიტარული კვანძები, წყალი არის მუდმივად, ახალი უმაღლესი ხარისხის რემონტით, ცხელი წყლის და გათბობის მოქმედი სისტემით. სახლი გადახურულია უჟანგავი თუნუქით, მარანი ლამაზი ბუხრით, მეორე და მესამე სართულზე 35-35 კვ.მ. მარმარილოს იატაკიანი ვერანდებით, ძალიან მაღალი ხარისხის კარ-ფანჯრებით და საკეტებით, ფანჯრებზე დამონტაჟებულია ლითონის ძლიერი გისოსები, შიდა კიბეები— კოპიტისაა. ფასი: 40000 აშშ დოლარი. ტელეფონი 22-43-28 თემური

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1200 რუბლი, შ. კ. კუპონებში.

ტელეფონები:

რედაქტორი: 93-20-36,

რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი:

93-19-99
93-18-41